**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა სთხოვენ მობრძანდნენ მორიგს სხდომაზე შაბათს, 26-ს ნოემბერს, შვიდს საათსა და ნახევარზე.

განსახილველი საგნები:

1) რა საშუალებით უნდა ებრძოლონ მილდიუსა და ნაცარს;

2) მიმომდინარე საქმეები.

არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ ამ სხდომას.

---

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა **წლიური კრება**, დანიშნული 20 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამიტომ, საზოგადოების წესდების მე-15 §-ის ძალით, ხელმეორედ კრება დანიშნულ იქმნა 27 ნოემბრისთვის. მაგრამ რადგანაც ასე მოხდა, რომ ამ დღისთვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურნი საგანგებო კრებაზე არიან მიწვეულნი, ამის გამო „წერა-კითხვის საზოგადოების“ **ხელ-მეორედ კრება** დანიშნულია 6 დეკემბრისთვის. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

---

ტფილისი, 25 ნოემბერი

მოზარდ თაობის გონებითს დაქანცვაზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა რუსულსა და ევროპიულ პედაგოგიურს მწერლობაში; „ივერიაშიაც“ იყო რამდენიმე წერილი ამ საგნის შესახებ, მაგრამ მეტი არ იქნება კიდევ ერთხელ ჩამოვაგდოთ საუბარი ამ საგულისხმო საგანზე. ეს საგანი საგულისხმოა იმიტომ, რომ ეხება ერთს უმთავრესს კაცობრიობის საჭიროებას; ეს ისეთი საჭიროებაა, რომ თუ იგი დაუკმაყოფილებელი დარჩენილიყო, კაცობრიობა წინ ფეხს ვერ წასდგამდა და სამუდამოდ ნადირი დარჩებოდა. ეს საჭიროება არის სწავლა-განათლება და სკოლა. გაიხსენეთ ძველის სპარტელებისა და ახალის პრუსიელების კანონი სწავლა-განათლების შესახებ. ამ კანონის ძალით, სრულ ასაკამდე შვილი დედ-მამას არ ეკუთვნოდა, უკეთუ ჯან-მრთელი იყო, და თუ არა, ნებით თუ უნებლიედ უნდა გამოსალმებოდა წუთი-სოფელს, როგორც მეტი ბარგი სახელმწიფოსი და ერისა. როგორც სახელმწიფო მოღლარეს უფლება არა ჰქონდა სალაროს საუნჯე-სიმდიდრე გაეფლანგა, უგზო-უკვლოდ დაებნია, ისე სკოლას არა ჰქონდა და არა აქვს ნება მისდამი რწმუნებული ბავშვი გარყვნას, ზნეობით და გონებით დაამახინჯოს. ამიტომ ადამიანი ისე უნდა გაუფრთხილდეს მოზარდს თაობას, როგორც თვალს და მერმისის იმედს. როგორც ჭკვიანი და გამჭრიახი კაცი სცდილობს ასი-თხუთმეტის წლის განმავლობაში თავისი საუნჯე, თანხა ერთი-ორად აქციოს, აგრეთვე კარგის სკოლის საგანიც ის არის, ან უნდა იყოს, რომ მოზარდი თაობა გონებითად და ზნეობითად გადააკეთოს და გააპატიოსნოს. „სიმდიდრე და წარმოება ხალხთა, ჰბრძანებს ფიხტე, პირველად და უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რას იძლევა სკოლაო“. მართლადაც, სკოლაში იზრდება და ვაჟკაცდება ახალი თაობა, მზადდება მოქალაქე და ადამიანი, იქ უმაგრდება ძვალი და რბილი, ხორცი და სული, იქ ვარჯიშობს ფიზიკურად და სულიერად.

რაკი ეს არის სკოლის დანიშნულება, ამიტომ სკოლა მუდამ საზრუნველი და სავალალო საგანია. საქვეყნოდ დამტკიცებულია, რომ თანამედროვე სკოლა ისე ვერ არის მოწყობილი, რომ თავისი დანიშნულება პირნათლად აღასრულოს. ერთი უმთავრესი სენი დღევანდელის სკოლისა ის არის, რომ მოზარდი თაობა გონებითად იქანცება. ეხლა ვკითხოთ, რა არის გონებითი დაქანცვა, სიუძლურე (переутомленіе) და რა ღონის-ძიებას უნდა მივმართოთ, რომ მოზარდი თაობა გადავარჩინოთ ამ უბედურებას. ამის თაობაზე ზოგი პედაგოგი მივარდა პროგრამას და გაიძახის: პროგრამა მეტად ვრცელია და ამ პროგრამის დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელიაო. სწორედ ამაზე არის ნათქვამი: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“. ზოგი ამბობდა: „მუდამ სწავლა და სწავლა, ისიც გრამატიკისა, ხომ წამებაა; მოდი, შემოვიღოთ სკოლებში სხვა-და-სხვა გვარი ხელობა მოსწავლეთა ძალ-ღონის გასავარჯიშებლად“. ზოგი კიდევ ჰქადაგებდა: „შევამოკლოთ სწავლების დრო და ან რამდენიმე საათი შუადღემდე ვასწავლოთ და რამდენიმეც ნაშუადღევსაო.“

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი ამ ხერხთაგანი არ არის უებარი წამალი ეგრედ წოდებულის „გონებითის დაქანცვისა“. შესაძლოა მცირე პროგრამის შესწავლითაც მოსწავლე გონებით დაიქანცოს, დაუძლურდეს, შესაძლოა აგრეთვე ვრცელი პროგრამა შეასწავლოთ და არ დაქანცოთ.

ვიდრე თვით ამ საგანს გამოვიკვლევდეთ, მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ, თუ რა მოზდევს გონებითს დაქანცვას.

ზოგიერთმა ევროპიელმა ფიზიოლოგმა საფუძვლიანად გამოიკვლია შედეგი გონებითის დაქანცვისა. შესანიშნავი ოკულისტი (თვალის ექიმი) კონი ამტკიცებს, რომ ბეცობა ძლიერ გახშირებულია საშუალო სასწავლებლებში, ასე რომ ორთა-შუა რიცხვით 40—60% ყმაწვილი ბეცია; აგრეთვე ხშირია გბილების ფამფალი, რყევა, გაფუჭება, დაკლება, თმების დაცვივნა, მელოტობა და სხვა, ასე რომ 27-ის წლის კაცს ხშირად ჰნახავთ სრულიად მელოტს. კონისავე სიტყვით, უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა დამახინჯებულია სხვა-და-სხვა გვარად: ზოგს ზურგის ხერხემალი აქვს გამრუდებული, ზოგს სუსტი და უშნო სხეულის აგებულება აქვს, ასე რომ სიგრძე და სიგანე მკერდისა არ ეთანაბრება მთელს აგებულებას; ზოგს კუჭი აქვს გაფუჭებული, ზოგს ყაბზობა სჭირს, ზოგს რა და ზოგს რა. ვირხოვის გამოკვლევით, სიჭლექეც ძლიერ ხშირი მოვლენაა მოსწავლეთა შორის, ასში კვდება: 5—10 წლამდე—4,81%, 10—15 წლამდე—12,96%; 15—20 წლამდე—31,88%. გარდა ამისა თავის ტკივილი, ცხვირიდგან სისხლის დენა, გულის რევა ხომ ხშირი მოვლენაა, განსაკუთრებით იქ, სადაც მყრალი, შმორიანი, ნესტიანი კლასებია. ამას შემდეგ გასაკვირველი არ არის, რომ მოსწავლეთა შორის ძლიერ გახშირდა თავის მოკვლა.

გამოჩენილის პროფესორის (ფრანგია) გოტიეს გამოკვლევიდგანა სჩანს, რომ გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში ამ უკანასკნელ 15—20 წლამდე მოსწავლეთა გონებითი ზრდა, განვითარება ძლიერ შეფერხდა. „ახალგაზდა ვაჟები თუ ქალები, რომლებსაც გიმნაზია დაუმთავრებიათ, სულ უკან-უკან მიდიან სწავლაში. ეს ყმაწვილები, რომლებიც უფრო მუყაითად ემზადებიან გამოცდისათვის, მეტს გონების სისუსტეს იჩენენ“. ამასვე ამბობს გამოჩენილი სულისა და ნერვების მკურნალი შარკო.

ჩვენ ჯერ-ჯერობით მოვიხსენიეთ „გონებითის დაქანცვის“ შედეგი, მაგრამ საქმე ხომ მარტო ეს არ არის. საქმე ისაა, თუ რა არის ამ საშინელის სენის უებარი წამალი?

## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, საქალაქო მილის წყალის პატრონობისათვის ქალაქის გამგეობამ შეადგინა ცალკე ბიურო, რომელიც შესდგება ერთის უფროსის ზედამხედველისაგან და სამის თანაშემწესაგან. ამათ აბარიათ წყალის „კრანები“ რიცხვით 32. ყოველს „კრანს“ თავისი წყალის მყიდველი ჰყავს. ამ გამყიდველებზე ბევრითა ჰკიდია შემოსავალი წყალისა. თუ რიგიანი კაცი ჰყავს „კრანს“, შემოსავალიც სწორე და მართალი იქნება. თუ ურიგოა, მაშინ თავისს საკუთარს ჯიბესაც არ დაივიწყებს. აქამომდე წყალის შემოსავალი ექვემდებარებოდა აგრედ წოდებულს გამგეობის აგენტებს, რომელთაც წყალის გარდა სხვაც ბევრი საქმე აქვსთ და ამიტომ არ შეეძლოთ იმდენად სჭეროდათ თვალ-ყური წყალის საქმეზე, რამდენადაც საჭიროება მოითხოვდა. ამასთანავე ბ-ნმა მი-

---

# ფელეტონი

### სამეცნიერო ამბები

„უცნაური ნაცნობი“.—სახელ-გატეხილი და ყბად-აღებული ნივთიერება.—ასეა მართლა საქმე?—საწამლავი პირველი უებარი წამალი ყოფილა.—ჭლექის წამალი.—იქნება ეშველოს ტანჯულს კაცობრიობას?—ერთი დიდი სიკეთე კიდევ სჭირებია!—ასტრონომებს კიდევ მოუცლიათ მარიხისთვის.—რა ამბავი მომხდარა?—საიდგან გაუჩნდა მარიხს ორი მთვარე?—რა ავ-კაცობა ჩაუდენია მარიხს?—ჩემი ოცნება.

ასეთი ამბავი ხშირად მოხდება ხოლმე მეცნიერებაში: ჩამოგითვლიან დაწვრილებით, რომ ამა-და-ამ ნივთიერებას, ვსთქვათ, ასეთი თვისება, ასეთი ზნე-ჩვეულება, ასეთი გვარ-ტომობა აქვსო, და ნახვით-კი, რომ იკითხოთ, არავის უნახავს. მაგალითს გეტყვით.

აი თუნდა ავილოთ ის ნაწილი მეცნიერებისა, რომელსაც ქიმიას უწოდებენ სახელად. არის ამ ქიმიაში ერთი ნივთიერება, რომელსაც სახელად ფტორი ჰქვიან.

რა არის ფტორი? ყველა ქიმიკოსი მოგცემთ ამის პასუხს. გეტყვიან: ფტორი ჰაერის მსგავსი ნივთიერებაა და ამა-და-ამ ნივთიერებასთან უფრო ახლო ნათესაობა აქვსო, ამაზედ და ამაზე დაშორებულიაო,—ერთის სიტყვით, ყოველ იმისს ავ-კარგიანობასა და ვინაობას ხელის გულზე გადაგიშლიან.

ხომ ასეა. და წარმოიდგინეთ, რომ ეს „უცნაური ნაცნობი“ კარგა ხანს ნახვით ვერავის ვერ ენახა. მთელი საუკუნე ქიმიკოსები სცდილობდნენ, რომ ეს დიდის ხნის „ნაცნობი“ როგორმე ხელში ჩაეგდოთ და თვალით დაენახათ, მაგრამ როგორც იტყოდნენ, რომ აი ეს არის ეხლა-კი ხელში ჩაგვივარდაო, უცნაური და უნახავი ისევ ხელიდამ გაუსხლტებოდათ და უკვალოდ გაჰქრებოდა, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი დაიხურაო.

იცოდნენ ქიმიკოსებმა, სადაც იმალებოდა ეს ფტორი, და მაინც ვერ ეპოვნათ, იცოდნენ, რომ ეს ნივთიერება მადნეულობაშიაც არის, მცენარეებშიაც, ცხოველებშიაც და, რაღა შორს წავიდეთ, ჩვენს კბილებშიაც საკმაოდ მოიპოვება და მაინც-კი ხელი ვერ ჩაეკიდნათ.

რა იყო ამისი მიზეზი? ისა, რომ ფტორი მეტად მტკიცე და მძიმე, დამჯდარის ხასიათისა ბძანდება. თუ ერთი მიეკედლა ვისმე, ისე მოიკალათებს და ჩაესახლება, რომ კეტებით ველარ მოიშორებთ. როგორც მტკიცე ხასიათის პატრონს, სძულს აგრეთვე ორგულობაც და ამიტომ თუ ერთხელ შეუერთდა ვისმე, დიდი საქმე უნდა, რომ ადამიანმა ამათი კავშირი მოსპოს. მეტადრე დიდს ერთგულებასა და სიმტკიცეს იჩენს ფტორი, რაოდესაც მეორე ქიმიურ ნივთიერებას, წყალ-მბადს, შეეყრება ხოლმე. თუ-კი შეიყარნენ, ისე მაგრად, მკვიდრად შეეკონ-შეეთვისებიან ხოლმე ერთმანეთს, რომ მანამ ბარი და ნიჩაბი არ გაჰყრის, თვით არქიმედის აზარმაციც ვერ შეარყევს ამათს ერთობას.

**

ფტორსა და წყალ-მბადს, ერთად შეერთებულსა და წყალში გაქნილს, ცოტა ძნელი გამოსათქმელი სახელი ჰქვიან:—ფტორ-წყალ-მბადის სიმჟავეს ეძახიან. ამ გაპრტყელებულს, სამსართულიანს სახელს თავი დავანებოთ, ასეთს ენის მოსამტვრევ სახელებს ხშირად შეჰხვდებით ქიმიაში,—საქმე ამაში-კი არა, იმაშია, რომ ეს სიმჟავე საშინელს სიმკაცრეს, სიავეს იჩენს და ცუდს საქმეს აყენებს, ვინც ამის ფრთის ქვეშ შეფარებულის ფტორისა და წყალ-მბადის ერთობას შეეხება, ვინც ამათ კავშირის დარღვევას, ამათ გაყრას მოიწადინებს. ამიტომაც, მოჰხვდება თუ არა ეს სიმჟავე, ვსთქვათ, ხეს, ან ტყავს, მაშინათვე დაჰბუგავს და შავ ნახშირად აქცევს ხოლმე. მინა რა არის, ხომ გამძლეა, და ეს სიმჟავე-კი ამასაცა ჰსჭამს.

ასეთის ავის თვისების გამო ამ სიმჟავეს ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა დავარდნილი. გადაშლიდი წიგნს,—სამეცნიერო გამოკვლევასა, თუ სახელმძღვანელოს, სულ ერთი იყო,—და, რაკი მიხვიდოდი იმ ალაგას, სადაც ამ სახელ-გატეხილ და ყბად-აღებულ ნივთიერებაზე იწყებოდა ლაპარაკი, ასეთს საშინელს ამბავს წაიკითხავდი.

„ეს ნივთიერება, ე. ი. ფტორ-წყალ-მბადის სიმჟავე, ადამიანის ტანზე რომ მოჰხვდეს, მაშინვე ხორცს დააწყლულებს, დაუჩირქებს და მჰამელასავით მოედება. ასევე ჰმოქმედებს ადამიანზე მისი ორთქლიც“... სწერს ერთი.

„არ მოიპოვება არც ერთი სხვა ნივთიერება, რომ ისე საშინლად ჰმოქმედებდეს, როგორც ეს სიმჟავე: საკმაო მარტო ამისი ორთქლი, რომ, ადამიანია თუ სხვა ცხოველი, მთელი ტანი სულ წყლულად უქციოს“... ამბობდა მეორე.

„ამ სიმჟავის ორთქლის ჩაყლაპვა მეტად მავნებელი და საშიშარია: სასულეში და ფილტვებში ისეთს საშინელს კვალსა სტოვებს, რომ საქმის გასწორება შეუძლებელი-ღაა“... გვეუბნებოდა მესამე.

კიდევ ბევრს სხვა ამისთანა და უფრო საზარელს ამბებს შეჰხვდებოდით. რაღა სიტყვა გავაგრძელოთ,—განა ცხადი არ არის, რომ, ეს რაღაც სიმჟავეა, ისეთი რაღაც საშიში და საფრთხილებელი ყოფილა, რომ ადამიანი უნდა ერიდოს როგორც ჭირსა და ჟამს. ორთქლი რა არის, ეს ორთქლიც-კი საწამლავივით ჰმოქმედებს თურმე ადამიანზე.

ასე რაღაც ავ და მავნე სულად გვიხატავდა მეცნიერება ამ ნივთიერე-

ლის წყლის ინჟინერმა გამოაცხადა ეჭვი, რომ დღეში ვარაუდით ექვს თუმნამდე ფული იკარგება გამყიდველების ხელ-მრუდობის გამოვ, რადგან ჯეროვანი მაყურებელი არა ჰყავთო. ახლად შედგენილი ბიურო დღეს მხოლოდ წყალის საქმეზეა დამყარებული და ამიტომ უკეთესი პატრონობა შეუძლიან. მართალია, დღემდის-კი ჯერ მაგდენი განსხვავება არა სჩანს-რა შემოსავლისა, დღეში სულ რაღაც მანეთ-ნახევრით, თუ ორის მანეთით მომეტებულია, ვიდრე უწინ იყო, მაგრამ ეს კიდევ არა ჰმოწმობს, რომ შემდეგში უკეთ არ წავა პატრონობის საქმე. ძველი გამყიდველები დიდად დახელოვნებულნი არიან «კრანების» ვითარებაში და ჯერ-ჯერობით ისე მოახერხებენ, რომ თვით ეშმაკიც-კი მოატყუონ და თვალი აუბან, ვიდრე ზედამხედველები ჯეროვანად გაიცნობენ ღირსებასა და ნაკლულევანებას წყალის საზომავ მაშინებისას. ჩვენ შევიტყეთ, რომ ახალს ზედამხედველებს უკვე აღმოუჩენიათ რამდენიმე გამყიდველი, რომელნიც აშკარადა ხელ-მრუდობენ, ე. ი. გაცილებით მომეტებულს წყალსა ჰყიდიან იმაზე, რასაც შემოსავლად აჩვენებენ. ეხლა ერთი ალიაქოთი შეუდგათ წყალის გამყიდველებს და შეშინდნენ. კარგი იქნებოდა, რომ სულ ყველგან ინგლისური წყალის საზომავები დაედგათ, რადგან მაშინ უფრო ძვირად მოხდება ხოლმე შეცდომა.

*** ბ-ნმა გ. საძაგლიშვილმა შემოსწირა „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავს" შემდეგი წიგნები და ნივთები:

1) ლოცვანი ოსური ხუცურის ასოებით;

2) წესი და განგება და სჯულის კანონი მეექსის კრებისა ას სამეოცდა-რვათა წმ. მამათა, რომელნი შეკრბეს კონსტანტინეპოლესა ახალსა რომსა;

3) ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლ-მადიდებლობითი;

4) წიგნი ალსარებისა;

5) ისტორია დავით ბატონიშვილისა, 1880 წ.;

6) ოთხი ჩუქურთმა, ნაპოვნი ცხინვალის ხეობაში, და

7) ძველი ფულები: ოთხი ვერცხლისა და შვიდი სპილენძისა.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უცხადებს შემომწირველს.

*** ხაშურიდგან გვწერენ: როგორც მოგეხსენებათ, ამას წინად აქ ღამით დასჭრეს ხაშურის დეპოს უფროს ბ-ნი შპიგანოვიჩი. ამ ამბავმა ძლიერ გააოცა და გააკვირვა ყველანი, მით უფრო, რომ ამისთანა ავკაცობა პირველი შემთხვევა იყო ხაშურში; მართალია, ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში ძალიან გახშირდა ქურდობა და ავ-კაცობა, მაგრამ მტრობით კაცის მოკვლასა და დაჭრას-კი არ შევსწრებივართ. ამ საქმის გამო ბ-ნს შპიგანოვიჩს პირველი ჩვენება ჩამოართვა რკინის გზის ჟანდარმმა ოზეროვმა, შპიგანოვიჩმა მიიტანა ეჭვი რკინის გზის ორს მოსამსახურეზედ; ერთი ამათგანი თევზაიაა, მაშინისტის თანაშემწე, და მეორეც—ბიბილიშვილი, ლამპების მეთვალყურე. ამ ეჭვის მიზეზი ის იყო, რომ ეს ორი შპიგანოვიჩს დაეთხოვნა სამსახურიდგან. ჟანდარმმა ოზეროვმა ბიბილიშვილი შეიპყრო თანხმად შპიგანოვიჩის ჩვენებისა. ამ დროს ტფილისიდგან მოვიდა ვილაც სავჩუკი. ეს სავჩუკი აქ დაატუსაღა ოზეროვმა, რა მიზეზით-კი, ნამდვილად არავინ იცის, ხოლო აქა-იქ ამბობენ, რომ ვითომ შპიგანოვიჩის სახლობას შეურაცხყოფა მიაყენა და ამიტომ შეიპყრესო. გავიდა სავჩუკის დატუსაღების შემდეგ რამდენიმე საათი და ეს კაცი გაანთავისუფლეს. სავჩუკმა უჩვენა ჟანდარმს: ბიბილიშვილმა მითხრა, რომ შპიგანოვიჩს რევოლვერი მე ვესროლეო. აქედგან ცხადია, რომ ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ იციან, ვინ არის შპიგანოვიჩის დამჭრელი, თუმცა გაზეთი „კავკაზი" დაბეჯითებით სწერდა, რომ დამნაშავე პოლიციამ უკვე შეიპყროვო.

*** სოფ. მჭედ-გავაზი (თელავის მაზრა): 11 ნოემბერს აქ აკურთხეს ეკკლესია იოანე ნათლის-მცემლის სახელობაზე. ამ ახალის ეკკლესიის მღვდელმა წარმოსთქვა სიტყვა და უამბო მსმენელებს ეკკლესიის ადგილის ისტორია და განუმარტა ეკკლესიის მნიშვნელობაც. კურთხევაზე მოწვეული იყო საცხენისის სკოლის მოსწავლეთა ხორო, რომელმაც მშვენიერად შეასრულა საგალობლები ამავე სკოლის მასწავლებელის ბ-ნ ს. ანდრიევის ლოტბარობით.

*** იქიდამვე 12-ს ნოემბრის საღამოს ცეცხლი გაუჩნდა ჩვენისავე სოფლის მცხოვრებლის, მიხა ჯაფარიძის, თამბაქოს ჩარდახს და სულ გადიწვა როგორც თამბაქო, აგრეთვე ჩარდახი. თამბაქო იყო 800 მანეთისა და ჩარდახი ღირდა 1500 მანეთამდე. საბრალო მიხა ჯაფარიძე სულ ხელ-ცარიელი დარჩა, რადგანაც საცხოვრებელი ამის მეტი სხვა არა გააჩნდა-რა. როგორც ამბობენ, მტრობით გადასწვესო. სხვა-და-სხვა საზარელი ამბავი აქ იშვიათი არ არის: ამ მოკლე ხანში ერთის გლეხის საქონლის ბაკში ვიღაცებიც შესულან და რვა ძროხა დაუჩეხნიათ; ზოგი მომკვდარიყო, ზოგი ცოცხალი ნახეს დილით; დღესაც არ იციან, ვინ ჩაიდინა ეს საქმე.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს მე-248 №-ში, მეორე გვერდზედ, მეორე სვეტის პირველ სტრიქონში, თავიდგან შეცდომით დაბეჭდილია გენერალ-ადიუტანტი, უნდა იყოს: გენერალ-ლეიტენანტი.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ „ივერიაში" დაბეჭდოთ, რომ ჩემდამო რწმუნებულს სასწავლებელს აზ. მიხეილ ოქროპირის ძემ ქლენტმა შემოსწირა სხვა-და-სხვა საჭირო ნივთი თხუთმეტის მანეთისა, რისთვისაც მე და საზოგადოება მადლობას ვუძღვნით.

ჯვარცმის (გურიაში) სოფლის მასწავლებელი

გიორგი ზაზაროვი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი.

(წერილი მეთხუთმეტე)

„სიბრძნე ბალავარისა"

ამ წლის „ივერიის" (№№ მე-4 და მე-7) ერთს საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილში მკითხველს საზოგადოებას ვუამბეთ მეცნიერთა შორის ალძრული კამათობა შესახებ „სიბრძნე ბალავარისა". ხსენებულ წერილის დასასრულს ჩვენ ვამბობდით: „მოვესძებნოთ, იქნება სადმე, ვისსამე სახლში, ან მონასტრის წიგნთ-საცავში არსებობდეს ქართული პირი ბალავარისაო". ჩვენი მოლოდინი გამართლდა. დღეს აღმოჩნდა რამდენიმე ცალი ხსენებულის წიგნისა და ეს გარემოება უყურადღებოდ არ დაუტოვებია მეცნიერებას. ბ-ნმა მარმა „ბალავარს" ცალკე წერილი უძღვნა გაზ. „ივერიაში" და ბალავარის პირი გადიღო და წაიღო პეტერბურგს. სადაც, როგორც იყო ნათქვამი „ივერიაშიაც", საარქეოლოგიო საზოგადოების კრებას საკუთარი მოხსენება წარუდგინა ქართულს ბალავარზე. ამ მოხსენებამ მეცნიერთა შორის დიდი ხალისი აღძრა. როგორც „ივერიის" მე-241 №-დამ სჩანს, რუსეთის საიმპერატორო საარქეოლოგიო საზოგადოების წევრთ უკვე მოუსურვებიათ ახლო გაიცნონ ქართული დედანი «ბალავარისა». იკითხავთ: რაა ეგ ბალავარი, რომ მეცნიერნი ეგრე აალაპარაკა? ბალავარი იმდენად შინაარსით არ არის შესანიშნავი, რამდენადაც საყურადღებოა შემდეგი გარემოება: პარიჟსა და ვენეციაში ბალავარის ხელთ-ნაწერებში მოხსენებულია, რომ ბალავარი ქართულიდგან ბერძნულად სთარგმნა იოანე ივერმაო, ე. ი. ივერიელმა, ქართველმაო. ეს ცნობები ჩვენ უფრო დაწვრილებით განვმარტეთ ზემორე მოხსენებულს წერილში...

ბარლაამი და იოასაფატი არის ბერძნული (?) რომანი, შედგენილი, როგორც ლიტტრე*) და სხ. ამბობენ, მეხუთესა და მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. ამ რომანის ავტორზედ ევროპიის მეცნიერთა საკმაო ცნობები არა ჰქონდათ. არ იცოდნენ არც ავტორის ვინაობა და არც იმისი გვარტომობა; მხოლოდ იცოდნენ, რომ იმისი ავტორი იყო ვინმე იოანე. ბერძნულიდგან გადითარგმნა იგი ლათინურად და შემდეგში ფრანგულადა და სხვა ენებზე. ამ ბოლო დრომდე არავინ ყურადღებას არ აქცევდა ბალავარის ვენეციურსა და პარიჟელს პირის ზედ-წარწერას. შარშანწინ მეცნიერმა როზინმა, როგორც ვსთქვით, უძღვნა ცალკე წერილი ბალავარს. იმ წერილში ავტორი ამტკიცებდა, რომ იგი წიგნი შედგენილია ქართულად და მე-XI საუკუნეში ქართველისაგანვე გადაღებულია ბერძნულს ენაზედ. ქართულიდამ ბერძნულს ენაზე ბალავარის მთარგმნელად როზენი ასახელებდა ბერის იოანეს შვილს ექვთიმე მთარგმნელს.

მოკლედ რომ ვსთქვათ, დღეს ზოგიერთ მეცნიერთათვის ბალავარი შეადგენს ხელით-ხელს საგოგმანებელს საგანს. იქნება გამოძიებამ, გამოკვლევამ აღმოაჩინოს რომანის ნამდვილი ავტორი!.. მანამდე-კი ურიგო არ იქნება გავიცნოთ შინაარსი ბალავარისა, ანუ „სიბრძნე ბალავარისა".

მოვედ ოდესმე იოპვასა (ეთიოპია) და მუნ ვპოე მე ესე ინდოთ მეფისა საწიგნესა, რომელსა შინა წერილ არიან საქმენი მისნი, ამბობს ავტორი ამ წიგნისა.

ინდოეთის ქვეყანაში, სახელდობრ ბელატს, იყო მეფე წარმართი და კერპთ თაყვანის-მცემელი იაბენეს; ყოვლისფრით იგი იყო ბედნიერი და მორჭმული, გონება კეთილი, მშვიდი, მდაბალი და ფრიად მოწყალე გლახაკთა. ხოლო შვილი არ ესვა. მწუხარე იყო იგი უშვილობისათვის, რამეთუ ფრიად მდიდარი იყო იგი და სწადოდა დაეტევა მკვიდრი მონავებთა ზედა.., ამისთვის ევედრებოდა თავის ღმერთებს, რათა მიენიჭებინათ მისთვის შვილიერება. კერპებმა არ შეუსრულეს თხოვნა. ცხოველ-მყოფელმა ღმერთმა-კი იგი შეიწყალა, რადგან იყო გლახაკთ მოწყალე, და

*) იხ. Историч. этюды, Литтрэ, გვ. 267-277.

ბას, კეთილად-კი არსად არა ყოფილა მოხსენებული. მერე ასეა მართლა საქმე?

სრულიადაც ასე არა ყოფილა და მეცნიერება აქამდე ძრიელ უსამართლოდ იქცეოდა თურმე, რომ ამ საბრალო და დაბრიყვებულს სიმჟავეს მხოლოდ სიავესა და ბოროტებას აბრალებდა. თურმე ნუ იტყვით-კი, დიდის სიკეთის მოტანაც შესძლებია იქნება ამ ნივთიერებამ დავრდომილსა და სნეულს კაცობრიობას დიდი სამსახური გაუწიოს და უშველოს იქ, სადაც სამკურნალო მეცნიერება სრულებით ულონოა! ამბობენ, ამ სიმჟავის ორთქლი ჰლექს არჩენსო. თუ ეს მართალია, ამ ნივთიერებას დიდი და ბრწყინვალე მერმისი მოელის და ამისი უსამართლოდ გატეხილი სახელიც ავად სახსენებელი და საშიშარი აღარ იქმნება.

**

ამ სიმჟავის მკურნალი თვისება პირველად შენიშნეს ამ 25 წლის წინად ერთს ქარხანაში, სადაც ბროლის ჭურჭელს აკეთებენ. ამ ქარხნებში ბროლზე და საზოგადოდ მინაზე ნახატების ამოსაჭრელად ფტორ-წყალმბადის სიმჟავეს ხმარობენ, რადგან მინასა თუ ბროლს მხოლოდ ესა სჭამს. ასეთს ქარხნებში, ცხადია, ყოველთვის იქნება ამ სიმჟავის ორთქლიც. ეს ორთქლი ხომ, როგორც ზევით გიამბეთ, საწამლავი ყოფილა ადამიანისათვის.

მაშ რა აძლებინებთ იმათ, ვინც ამ ქარხნებში ჰმუშაობენ და მუდამ წამს ამ მოწამლულს ჰაერსა ჰყლაპავენ? ხომ უნდა იწამლებოდნენ და იხოცებოდნენ? დიახაც, რომ ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ, არამც თუ არავინ იწამლება, პირ-იქით, ყველანი მშვენივრად ჰგრძნობენ თავიანთს თავს. და ის მუშები ხომ, რომელთაც ან ფილტვები აქვსთ დაშავებული, ან გული სტკივათ, ან ქოშინი სჭირთ,—სულ იმას იხვეწებიან, რომ იქ ამუშავონ, სადაც უფრო მეტი ორთქლია ამ საშინელის ფტორისა. თურმე ნუ იტყვით, ეს ორთქლი არამც თუ არა სწყინს ამ სნეულებით შეპყრობილებს, პირ-იქით, დიდს შვებას აძლევს.

როდესაც ქარხნის მოთავეებმა ეს ამბავი შეიტყეს, მეტად გაიკვირვეს და აცნობეს სამკურნალო მეცნიერების უკეთესს წარმომადგენლებს. მეცნიერებმა ჯერ-კი ყურადღება მიაქციეს ამ ამბავს, მაგრამ ისევ მალე მიატოვეს და ამ სახით გატეხილი სახელი ფტორისა ისევ ისე სახელ-გატეხილად დარჩა.

იქნება კიდევ დიდხანსაც დარჩენილიყო ასე, მაგრამ, როდესაც სხვა ქარხნებზედაც შენიშნეს, რომ ფტორის სიმჟავე უებრად ჰმოქმედობს გულითა და ფილტვებით ავადმყოფებზე, მაშინ-კი ექიმებმაც ყურადღება მიაქციეს. და აი სულ რამდენიმე თთვეა მას აქეთ, რაც პარიჟის სამკურნალო აკადემიამ კომისია დანიშნა ამ საქმის გამოსაკვლევად და გამოსაძიებლად. მერე რა აღმოჩნდა?

აღმოჩნდა, რომ ფტორის ორთქლი არავისა სწყინს და ქარხნებში, სადაც ამ ორთქლით გაჟღენთილია ჰაერი, არამც თუ დიდრონები, ყმაწვილებიც სრულიად ჯან-მრთელნი არიან; ჰლექებს ამ ორთქლში სნეულება ეშვებათ, და ვისაც ხველა, გულის ტკივილი აქვს, ან სუნთქვა უჭირდება, იმისთვის ხომ საკმაოა სამი-ოთხი საათი დაჰყოს ამ ორთქლში, რომ უკეთ იგრძნოს თავი.

ეს წამალი სცადეს სამკურნალოშიაც და აქაც საოცრად იმოქმედა. ჰლექებს სამჯერ-ოთხჯერ უწამლეს თუ არა ამ ორთქლით, მადა მიცათ, ხორცი მოემატათ, ხველამა და ოფლის დენამაც უკლო. შემდეგი უფრო აშკარად დაგანახვებთ ამ წამლის უებრობას. სამკურნალოში 100 ჰლექით ავადმყოფისაგან 35 სრულიად განთავისუფლებულა სნეულებისაგან, 45 დიდი შვება მისცემიათ, 14 კაცი იმავე ყოფაში დარჩენილა, როგორც წამლობის წინად იყვნენ, და მხოლოდ 10 მომკვდარა.

ზემოდ ნახსენებ კომისიის წევრებს თვითონ უწამლნიათ და უდევნებიათ თვალი ყველა აქ ჩამოთვლილ ჰლექით ავადმყოფებისათვის და ყველას ის აზრი წარუდგენია აკადემიისათვის, რომ ფტორის ორთქლი ჰლექისათვის მართლა რომ უებარი წამალიაო, და, რადგან ამ წამლის ხმარება ძლიერ ადვილიაო, ამიტომ სასურველია, რომ მალე გავრცელდეს და ყველგან ხმარებაში შევიდესო.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ეხლა მაინც ეშველოს ტანჯულს კაცობრიობას. მით უფრო სანატრელია ეს, რომ სამკურნალო მეცნიერება დღემდე სრულიად ულონო იყო და ჰლექს, ამ საშინელს სნეულებას, ვერაფერი წამალი ჰშველოდა.

**

ეს კიდევ რა,—ფტორ-წყალ-მბადის სიმჟავეს კიდევ ერთი სხვა დიდი სიკეთე სჭირებია. გამოჩენილს ინგლისელს მეცნიერს ტომპსონის კიდევ ერთი ძვირფასი თვისება შეუმჩნევია ამ სიმჟავისათვის: ერთი წვეთი ამ სიმჟავისა ათას წვეთს წყალში რომ გაჰქნათ და ეს წყალი ხორცს, რძეს, თუ სხვა ამისთანა რამეს რომ დაასხათ და შეინახოთ, რაც უნდა დიდი ხანი გქონდეთ ასე შენახული, ფიქრი ნუ გექმნებათ, რომ, ხორცია, რძეა, თუ სხვა რამე, გაფუჭდეს, გაიხრწნეს და სუნი დაეცეს, უცვლელად შეინახება.

სხვა მეცნიერნი უფრო მეტს ამბობენ. ოცი ათას წვეთს წყალში რომ ერთად-ერთი წვეთი ფტორის სიმჟავისა გაიხსნას, სრულიად საკმაო იქნება, რომ დაჰხოცოს ის პაწია ცხოველები, რომელთაც მიკროკოკკები, ბაცილები და სხვა ამ გვარი სახელები ჰქვიანთ და რომელთაგან წარმოსდგება სხვა-და-სხვა გადამდები და შესაყარი სნეულება. აქამდინ ჯერ არა ყოფილა ისეთი წამალი, რომ ესე ერთი ბეწო იხმაროს და ასეთი უებარი ძალა-კი იქონიოს.

ეხლა ხომ დაიჯერებთ, რომ ფტორის სიმჟავეს სრულიად უსაფუძვლოდ ჰქონია ავ-კაცობის სახელი დავარდნილი და სრულიად უსამართლოდ ყოფილა დევნილი?

მიანიჭა ვაჟიშვილი. იაბენესს ძლიერ გაუხარდა. გამართა მეჯლიში. შეჰკრიბნა სიმრავლე ვარსკვლავთ-მრიცხველთა, ფილოსოფოსთა და მემაგრეთა, რათა აუწყონ: რა წინა უძს ძესა მისს, ანუ ვითარის ბედისა არის იგი. ყველამ კარგი ბედი უწინასწარმეტყველა მეფის ძეს. ხოლო ყველაზე წარმატებულმა მეცნიერმა მეფეს მოახსენა: დიდება ამ ყრმისა არა არს ამ სოფლით. იგი იქნება დიდი მოძღვარი ჭეშმარიტებისაო... იაბენესი ძლიერ შესწუხდა. ბრძანება გასცა იმის სამეფოდგან გაესხათ ყველა ქრისტიანენი. შვილისთვის-კი ააგო მშვენიერი და დიდებული გოდოლი. გოდოლში დაასახლა შვილი და დაუნიშნა აღმზრდელები, რომელთაც უბრძანა ყმაწვილი ისე აღეზარდათ, რომ არ გაეგო ამბავი ქრისტიანეთა, არ ენახა გლახაკი, ბერი-კაცი, არა სცოდნოდა სიკვდილი, მწუხარება და მარად ჟამ ფუფუნებითა და შვებით განეტარებინა დრო. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, აღკრძალული ხილი გემრიელიაო. მეფის ძე, რომელსაც ერქვა იოსაფატი, დავაჟკაცდა, შეიქმნა გონიერი, ლამაზი და ახოვანი, იყო ფრიად კეთილი და სათნო. იმისთა აღმზრდელთა შორის უფროსი იყო ზანდანი. ყრმამ შეისწავლა ყოველი სწავლულება და სიბრძნე. იოსაფატი თავისის გონიერებით მიხვდა, რომ იგი დამწყვდეულია. გამოჰკითხა მიზეზი ზანდანს. ზანდანმაც ბევრს ყოყმანს შემდეგ უამბო დაწვრილებით ქრისტიანეთა განდევნა მეფისაგან და მიზეზი მეფის ძის კიდეგანობისა...

მეფე ხშირად ინახულებდა ხოლმე თავისს შვილს, რომელიც ფრიად უყვარდა. ერთს დღეს ჩვეულებრივ მივიდა შვილთან. იოსაფატი შეეხვეწა: მამაო, ჩემი სურვილი არის გარეგან განსვლად კართა ქალაქისათა, გევედრები, რათა განმიტეო და ვიხილო ქვეყანა და არსადა გარდავხდე მცნებათა შენთა... მეფეს შვილი უყვარდა და ნება დართო. ხოლო წინათვე ბრძანება გასცა, რომ გზა-გზა შიკრიკნი წასულიყვნენ და ყველა დავრდომილნი და ბერი-კაცნი გზიდამ გაესხათ. იოსაფატმა ბევრი იარა. ბოლოს წააწყდა ერთს ბერი-კაცს, მოუძლურებულს, რომლისა თმა თავისა სპეტაკ იყო, ვითარცა მატყლი, და პირსა მისსა კბილი არ იყო... იოსაფატს ძლიერ გაუკვირდა ესეთი სანახავი. გამოჰკითხა და გაიგო, თუ რა არის სიბერე, რომელსაც მოსდევს სიკვდილი. შეიტყო, რომ ყოველი კაცი სიკვდილის შვილია. მეფის ძე შესწუხდა ძლიერ. ზანდანს ჰკითხა: არსად არის ისეთი ქვეყანა, რომ კაცი არა კვდებოდესო. არაო, მიუგო ზანდანმა და თანაც მოუთხრო ქრისტიანეთაგან გაგონილი ამბავი შესახებ ღვთისაგან ქვეყნისა და კაცის შექმნისა. ვინც მას ჰმსახურებს და მის გზაზედ დადისო, იმისთვის სამოთხე და სასუფეველი არის განმზადებულიო. სიკვდილს შემდეგ მუნ წარიყვანების და მას შინა განუსვენებს უფალიო.

იოსაფატს აღეძრა სურვილი დაწვრილებით გაეგო ყოველივე. სთქვა: ზეცათაო, მომივლინე მე კაცი მონათა შენთაგანი, რათა მაუწყოს მე გზა ჭეშმარიტებისა და ვიცოდე მას შინა და ვიქმოდე მცნებათა შენთა წმიდათა.

ამ გვარი მონა უფლისაც გამოჩნდა. იგი იყო ბალავარი.

ბალავარი იყო მეფის უპირველესი მეგობარი, ფრიად გონიერი და წარჩინებული. ამასთანავე სწამდა ქრისტე და სარწმუნოება შეიქმნა მიზეზად იმის განდევნისა სამეფოდგან...

ბალავარმა ვაჭრის ტანისამოსი ჩაიცვა და მივიდა იოსაფატის სახლის კარებზე. ტანისამოსი იმიტომ გამოიცვალა, რომ ეჭვი არ აიღონ და არ მიცნონო. ბევრის ვედრების შემდეგ ბალავარი შეუშვეს იოსაფატთან, რომლისათვისაც ვითომ ძვირფასი თვალი უნდა მიეყიდნა. მეფის ძემ ამ კაცისაგან დაწვრილებით შეიტყო ქრისტიანებრივის სარწმუნოების ისტორია. იოსაფატმა აღიდა ჭეშმარიტი ღმერთი...

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გუშინ ჩვენ ვუამბეთ მკითხველებს, რა სთქვა დეპუტატმა ბაროდემ ბოდენის შესახებ. როცა ბაროდემ გაათავა თავისი სათქმელი, მემარჯვენეთ დაიწყეს ძახილი: მოვისმინეთ თქვენი და აბა ახლა „მთავრობა რასა ბრძანებსო“. ამ დროს ავიდა კათედრაზე მთავარ-მინისტრი ფლოკე და სთქვა: „რასაკვირველია, არავინ არ მოტყუებულა აქა და არ უფიქრია, რომ ლეზანმა გულ-უბრყვილობით გვირჩია ბოდენის გამომანიფესტაციის გამართვა. ჩვენ იმან გაგვაკვირვა, რომ ბოდენის პატივისცემას ითხოვენ დღეს აქ ისინი, ვისაც პირი დაუსკვნიათ ბონაპარტელებთან ერთად (ისმის ხმაურობა და ტაშის ცემა). ეს პირის დასკვნა ცხადია, ნამდვილია და შემდეგში ნათლად დამტკიცდება კიდეც (კვლავ ისმის ტაშის ცემა). მაგრამ მაინცა და მაინც ლეზანის აზრი ბაროდეს პატივის-ცემის შესახებ იმდენად მოსაწონია და სასიამოვნო დღევანდელის ჩვენის კრების უმეტესობისათვის, რომ წარბსაც არ შეიხრიდნენ და მიემხრობოდნენ ლეზანს; ხოლო საქმე ეს არის, რომ ლეზანზე ადრე იზრუნა მავ საგანზე ერთმა ჩვენმა მეგობართაგანმა, სახელდობრ ბაროდემ, რომელმაც ადრე წარმოადგინა ეგ სარჩიელი ვრცლად და რომელიც დიდხანს სინჯა და ჩხრიკა მთავრობამ“. თუმცა მემარჯვენენი წამ-და-უწუმ აწყვეტინებდნენ სიტყვას ფლოკეს, მაგრამ იმან მაინც სთქვა, როგორ უყურებს მთავრობა ამ საქმესაო და მერე სთხოვა პალატას: შეიწყნარეთ გადაუდებლობა, დაუყოვნებლობა ბაროდეს სარჩიელისა, ხოლო სარჩიელი ლეზანისა, როგორც უფრო მოკლედ და ვიწროდ შემოფარგული, უარ-ჰყავითო. ლეზანმა ამაზე სთქვა, რომ მე ვთხოულობ ორივე სარჩიელის დაუყოვნებლობა შეიწყნაროთ და ერთსა და იმავე კომისიას გადასცეთ განსახილველადაო.

მემარჯვენენი ჰყვირიან: „არა! არა! ჩვენ არ გვინდა ბონაპარტელებთან საერთო საქმე დავიჭიროთ!“

ჟ ი ლ ლ ი. სიტყვას ბანზედ ნუ ისვრით?

დე-ლა-ბერჟ. თქვენს კრებაზედ ესწრებიან ბონაპარტელები. თქვენ და ისინი შეთქმულობას ადგენთ.

ლეზან. მაშ თქვენ უარ-ჰყოფთ იმ თქვენს ამხანაგს, რომელსაც მთელს თავისს სიცოცხლეში რესპუბლიკელობისათვის არ უღალატნია!

მილიერან. არ უღალატნია!

ლეზან. ბატონო მილიერანო, თქვენ პირიდამ რომ სიტყვას მართმევთ, თქვენ, რომელიც მხოლოდ ეხლა გამოხვედით საპოლიტიკო სარბიელზედ და ჩემი მეგობარიც იყავით, განა თქვენ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ თუნდა ერთს წუთს მაინც რესპუბლიკელი არა ვყოფილვარ ოდესმე ჩემს სიცოცხლეში?!

მილიერან. მე იმას ვამბობ, რომ ეხლა თქვენ უარ-ჰყოფთ სრულიად თქვენს წარსულს რესპუბლიკელობას (დიდი ტაშის ცემაა მემარჯვენეთა შორის).

ამ დროს ასტყდება საშინელი ხმაურობა, ჟივილ-ხივილი. ლეზანს უყვირიან აქეთ-იქიდამ: „თქვენ ბონაპარტელების მომხრე ხართ! აგვიხსენით, რა დამოკიდებულებაა თქვენსა და იმათ შორის!“ გაბრაზებული ლეზანი მიჰმართავს ფლოკეს და საერთო ყვირილისა და სიცილის დროს ეუბნება, თქვენ ორლეანელების მომხრე ხართო. „ჩემთვის გრაფ პარიჟელს გული არასოდეს არ გაუკეთებია და არაფერში არ წაუქეზებივარო“, ეუბნება ამაზედ პასუხად ფლოკე და ისმის საშინელი ტაშის-ცემა.

გუნეო-დ'ორნანო. იმან მოგცათ თქვენ კონსტიტუცია!

ლეზანი სთხოვს ფლოკეს, აგვიხსენით თქვენი გაუგებარი, ნართაული სიტყვებიო. თუ არა-და, ჩვენცა და ქვეყანაც ყურადღებასაც არ მივაქცევთ მაგეთს სიტყვების გადაკრასაო.

საერთო აყალმაყალია. ისმის სიცილი და ყვირილი: „საქმეს შეეუდგეთ, ბიუჯეტი გვეჩქარებაო“.

ამ დროს კათედრაზე დგას კუნეოდ'ორნანო: ერთობა გვინდა, ერთობასა ვთხოულობთ. მემარჯვენეთ უნდა ნება ჰქონდეთ პატივი სცენ გენერლებს რევოლიუციისას.

ფლოკემ ამაზე მოახსენა ამ ბატონს, რომ თქვენ სთქვით ერთს კრებაზე: რესპუბლიკელები უნდა დავჩეჩქეთო. კუნეო-დ'ორნანო თავს იმითი იმართლებს, რომ ეგ სიტყვები პოეტური სიტყვებია და მნიშვნელობა არა აქვსო.

ბოლოს დაიწყეს კენჭის ყრა და ლეზანის სარჩიელი უარ-ჰყვეს 458 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 19-სა. ბაროდეს სარჩიელს მიეცა უპირატესობა და შეწყნარებულ იქმნა კიდეც იმისი დაუყოვნებლობა.

## წვრილი ამბები

მეინინგენში გაუმართავთ გამოფენა იმ მთელის ქვეყნის ჟურნალებისა, გაზეთებისა და წიგნებისა, რომლებშიაც-კი ნათქვამია რამე იმპერატორის ფრიდრიხის გარდაცვალების გამო. ამ გამოფენაზედ თავ-მოყრილია თურმე ორმოცდა თოთხმეტს ენაზედ ნაწერი.

— ვერ იქნა და ვერაფრით ვერ აღმოაჩინეს ლონდონში ვიღაც ახირებული სისხლის-მსმელი და დედაკაცების მკვლელი. ამ საქმის გამო ლონდონის პოლიციის უფროსიც-კი იძულებულ იქმნა სამსახურისათვის თავი დაენებებინა. საოცარმა მკვლელმა უკვე ექვსი თუ შვიდი ზნეობით გახრწნილი ქალი იმსხვერპლა და აქამდე-კი ნაკვალევიც ვერ უპოვნეს. საკვირველი უფრო ის არის, რომ ეს მკვლელობანი სულ ერთს ადგილსა ჩხდება, ერთს George-დ სახელწოდებულს ქუჩაზედ. ამ კაცს ამას წინად კიდევ ერთის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. აი ამ საქმის ზოგიერთი წვრილი. საღამოს ოთხს საათზედ ამ ქუჩაზედ მისულა ვიღაც ქ-ნი ფერმერი ერთს კაცთან ერთად, რომელიც ყავახანაში გაუცვნია, დაუჭერია ოთახი და იქ დარჩენილა ამ კაცთან ღამის გასათევად. დილის რვა საათი რომ შესრულებულა, ეს უცნობი კაცი წამომდგარა ლოგინიდგან, ტანისამოსი ჩაუცვამს, მივარდნია დანით ხელში ქალს და მისთვის ყელის გამოღადრვა სდომებია. დანაც მოუსვამს ყელში, გაუჭრია, მაგრამ ისე ცოტად, რომ ქალს ყვირილის ღონე ჰქონია და ამიტომ ხმა მაღლა დაუძახნია მეზობლებისათვის. კაცს დაუნახავს თუ

---

დიაღ, უსამართლობა, ცილის დაწამება მეცნიერებაშიაც შესაძლოსი ყოფილა! თუ არა გჯერათ, მოწმად მოვიწვევ თვით ცასა და ბრწყინვალე ვარსკვლავს მარიხს!

**

საწყალი მარიხი! რა ხანია, რაც ასტრონომებს მიზანში ჰყავთ ამოღებული ეს ჩვენის დედამიწის მსგავსი ქვეყანა და მოსვენებას აღარ აძლევენ! ჯერ იყო და ერთი ლაპარაკი ასტეხა იმ ამბავმა, რომ მარიხის ინჟინერებს მოუცლიათ და უთვალავი არხები გაჰყავთ და გამოჰყავთო. მერე ერთი საქმე დააწია იმ ამბავმა, რომ მარიხზე რაღაც გეომეტრიულ ფიგურებს გვიხატავენო და სწორედ მარიხელებს ამ სახით ჩვენთან მოლაპარაკება უნდათო.

ეს, როგორც მოგეხსენებათ, კარგა ხნის ამბავია და ცილის-დაწამებაც აქ ჯერ არაფერი სჩანს. მართალია, მაგრამ ჩვენი ზღაპარიც ხომ ჯერ არ გათავებულა, მხოლოდ იწყება.

მარიხი დღეს კიდევ სალაპარაკო საგნად გაჰხდომიათ მეცნიერებს, მხოლოდ იქაურ ინჟინერებისთვის ეხლა თავი დაუნებებიათ და თვით ბრწყინვალე მარიხს დიდს ბრალსა სდებენ, — სწამებენ, ვითომ მარიხს ორი პატარა ჩვენის დედამიწის მსგავსი ვარსკვლავი მოეტაცნოს და აღარ უშვებდეს ხელიდამ. ასეთი საქციელი მარიხისა, რასაკვირველია, მოსაწონი არ არის და აი საფრანგეთის ასტრონომს დიუბუას კიდეც დაუსმენია ეს ამბავი სამეცნიერო აკადემიისათვის. რა ამბავია, რა მომხდარა? აი რა.

მარიხს ორი თანამოგზაური ჰყავს, რომელნიც ღამ-ღამობით ლამპარს უნთებენ გზის გასანათებლად. ეს ორი მოგზაური ორი მთვარეა, რომელნიც მხოლოდ 1877 წელს აღმოაჩინა ერთმა ამერიკელმა ასტრონომმა, თითონვე დანათლა და ერთს უწოდა სახელად ფობოსი, მეორეს—დეიმოსი.

წინად სადღა იყვნენ ან ერთი, ან მეორე? 1877 წლამდე რატომ არავინ ნახა? ვსთქვათ, რომ ასტრონომებს გამოეპარათ, ვერ დაინახესო, ძნელი დასაჯერია, მით უმეტეს, რომ დიდი ხანია, რაც ასტრონომები დურბინდებით შესცქერიან და თვალს არ აშორებენ მარიხს. სადა არხები და გეომეტრიული ფიგურებიც-კი შენიშნეს, როგორ დავიჯეროთ, რომ მთელი ორი მნათობი, ორი მთვარე სრულებით გამოეპარათ. ეს ხომ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნემსი დაინახოს და აქლემი-კი ვერა. მაშ, ცხადია, რომ 1877 წლამდე მარიხს არც ფობოსი ჰყოლია და არც დეიმოსი. მერე მაშინ საიდგან-ღა გაჩნდნენ.

**

ბევრჯელ გვითქვამს, რომ ჩვენი დედამიწა ერთად-ერთი ქვეყანა არ არის ასეთის სახისა და ფერისა. მთელი ცის სარქველი მოფენილია ასეთის ქვეყნებით. ზოგი ამათში დიდია, ძლიერ დიდი, ზოგი-კი გაცილებით პატარაა, ვიდრე ჩვენი ქვეყანა. აი ასეთი პატარა ქვეყნებია ის ვარსკვლავების ჯგუფიც, რომელიც მზის გარშემო დადის ჩვენის დედამიწისავით. ამ ვარსკვლავებს ასტრონომები ასტეროიდებს უძახიან. მარიხსა და ამ ასტეროიდებს მზის გარშემო შემოსავლელი გზა ახლო უდევთ ერთმანეთზე და ამიტომ ხშირად ერთმანეთს ძალიან ახლო შეჰხვდებიან ხოლმე. და რასაკვირველია, ამ დაახლოვების დროს მარიხი და ასტეროიდები ერთმანეთს მეტის ძალით მიიზიდავენ და შესაძლოა ერთმა მეორეს გზაც შეაცვლევინოს. განა თქმა-ღა აღნუ, რომ მოზრდილი მარიხი პატარა ასტეროიდს დასძლევს და თავისკენ მიიზიდავს?

ახლა-კი მიჰხვდებით რა მიზეზი იყო, რომ 1877 წლამდე ფობოსი და დეიმოსი მარიხთან არა სჩანდნენ. არა სჩანდნენ და არც ეჩანებოდნენ ნებოდნენ, იმიტომ-რომ არც იყვნენ იმ დრომდე მარიხთან. მხოლოდ ამ წელს ასტეროიდების ჯგუფი მიუახლოვდა მარიხს, მარიხმა სტაცა მაგრა ხელი და, ის დღეა და ეს დღე, თავისგან აღარ უშვებს,—ან-კი რად გაუშვებს, ერთგულად ემსახურებიან.

აი რა ავკაცობა ჩაუდენია მარიხს, აი რა ბრალსა სდებს დიუბუა! რამდენად მართალია ბრალმდებელი დიუბუა—არ ვიცით, არ ვიცით აგრეთვე ისიც, რა განაჩენიც დაადგინა საფრანგეთის უკვდავთა აკადემიამ, რა სასჯელი გადუწყვიტა მარიხს ამ ავაზაკობისთვის. იქნება, ბრალდებულიმარიხი სრულიად დამნაშავედაც არ იცნეს უკვდავმა მსაჯულებმა? ეს უფრო ჰკუაზე ახლოა. მართლა-და რაღა 1877 წელს მოუნდა მარიხსაც ასტეროიდის მოტაცება? წინად რას ჰფიქრობდა? ვინ იცის, რამდენი ათასი და მილიონი წელიწადიც არის, რაც ესენი ერთს გზაზე დადიან,—ნუ თუ 1877 წლამდე არც ერთხელ არ შეჰხვდნენ,—მერე რატომ წინად არ მოსდიოდა ფიქრად ასეთი ავ-კაცობა? არა, ცილსა სწამებენ მარიხს!

დიუბუა რომ მართალი გამოდგეს?.. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ ჩვენ დედამიწის შესახებაც შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ესეც შესძლებს ასეთის საქმის ჩადენას. რა დაუშლის? მე ვიცი, ძალიან უმანკო და უცოდველი რამ-კი ბრძანდება!..

მართლა და განა არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ შესაძლისია ერთი ისეთი ასტეროიდი, როგორც მარიხის ფობოსია ან დეიმოსი, მოსწყდეს თავისს დედა-ბუდეს და დაიწყოს უგზო-უკვლოდ სიარული ცის სივრცეში. ვსთქვათ, გამოიარა დედამიწის ახლო, სტაცა დედამიწამ ხელი და შებოჭა მაგრად. დატყვევებული დაჰმორჩილდა თავისს ბედს. დაღამდა, ჯერ მთვარე არ ამოსულა. დედამიწაზე-კი ნათელია, როგორც მთვარიანს ღამეში, რამ გაანათა? ახლად შეძენილმა ასტეროიდმა. მთვარეც ამოვიდა, გადაეხვია და ნათელს ნათელი გადაჰფინა. დედამიწას ორი მთვარე უნათებს...

კარგი იქმნება მაშინ ჩვენი დედამიწა, ეს რომ მოხდებოდეს!..

დონ-იაგო

არა, რომ ყვირილმა ხალხის ყურადღება მოიქციაო, გაქცეულა საუბედუროდ, იმ დროს ქუჩაში არც ერთი პოლიციის დარაჯი არა მდგარა და ისე მიმალულა, რომ ვერავის შეუმჩნევია. ქალს უთქვამს, რომ ის კაცი ქერა იყო, შუათანა ტანისაო, ასე რომ იგი „ჯანი“ არ უნდა იყოს, რომელმაც წინად ქალები დახოცა და რომელიც შავგვრემანია და შუათანა ტანისა. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს თეთრ-ყირმიზი ჯანის ერთი ხელ-ქვეითთაგანი უნდა იყოსო. ამ ამბავს უნდა მივუმატოთ, რომ ლონდონის პოლიციის უფროსს კიდევ ერთი წერილი მიუღია ჯანისაგან შემდეგის შინაარსისა: „ტყუილად დამეძებთ ლონდონში; ამ ჟამად მე აქ არა ვარ, ხოლო ჩქარა დავბრუნდები და კვლავ მივყოფ ხელს ჩემს შექცევას, რაც ძალიან შემიყვარდა. მომავალში მე ქალებს თავსა და მკლავებს დავაჭრი და თქვენ-კი ემებით შავგვრემანი კაცი, ხა, ხა, ხა!“

— გაზ. „Figaro“-ში დაბეჭდილია ერთის კაცის ამბავი, რომელიც უბრალო უსიამოვნების გამო ორჯელ გაბედნიერებულა. 4 სექტემბერს ორს ნაცნობს კაცს ფრანგს მარსა და ისპანიელს ზულუეტს პარიჟიდგან დიჟონში წასვლა სდომებიათ და პირველ კლასის ვაგონში დაუჭერიათ ადგილი, ხოლო ამ ვაგონში ვიღაც ინგლისელები წაჰკინკლავებიან და გაუძევებიათ იქიდგან. რამდენსამე საათს შემდეგ მატარებელს უბედურება დამართნია და ის ვაგონი, რომელშიაც ინგლისელები მსხდარან, სულ ერთიანად დამტვრეულ-დამსხვრეულა; შიგ მსხდომნიც დაღუპულან. ხოლო ის ვაგონი-კი, რომელშიაც გადასულან მარა და ზულუეტა, ხიფათს გადარჩენილა. მარას შემთხვევით შეუნიშნავს დამსხვრეულის ვაგონის ნომერი, მე-20977, და გადაუწყვეტია ამ ნომრის ყიდვა ისპანიის ლატარიაში. უეიდნია და აქაც ბედს თავისი წყალობა არ დაუშურნია, 32,000 მანათი მოუგია.

— ერთს უცხო ქვეყნის მუზეუმში ინახება თურმე ერთი სათეატრო განცხადება, ამ ასის წლის წინად დაბეჭდილი. ამ განცხადებას ბოლოზედ შემდეგი შენიშვნა აქვს თურმე მიწერილი: «მაყურებელთა ხერხიანობისათვის ისეა მოწყობილი, რომ პირველს რიგში მაყურებელნი დაწოლილნი იქნებიან, მეორე რიგში მყოფნი მუხლ-მოყრილნი, მესამე რიგში უნდა ისხდნენ, ხოლო მეოთხეში უნდა იდგნენ, ასე რომ წარმოდგენას ყველა კარგადა ჰნახავს. სიცილი აღკრძალულია, რადგან ტრაგედიას წარმოადგენენ.»

# დეპეშა

24 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დღეს წმ. ვლადიმერის ეკკლესიაში დაასაფლავეს გვამი ზღვათა სამინისტროს მმართველის შესტაკოვისა.

**ბერლინი.** გერმანიის საიმპერიო ბანკმა ასწია სარგებელი ვექსილების გასანაღდებლად 4-დგან $4^1/_2$ %-მდე.

25 ნოემბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესი კომისია, რომელიც საგანგებოდ დანიშნული იყო ებრაელთა შესახებ კანონების გადასასინჯავად, გაუქმებულია.

**რომი.** კრისპიმ შეატყობინა სენატს, რომ ამ ჟამად განწყობილება იტალიასა და საფრანგეთს შორის ძმური და მეგობრულიაო; კრისპიმ აგრეთვე სთქვა, რომ საფრანგეთთან ომს იტალია დიდ უბედურებად მიიჩნევდაო.

## პეტერბურგის ბირჟა, 22 ნოემბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 87 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $157^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270 |
| —მეორისა . . . . . | $241^1/_4$ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

**26 დღე შაბათი.** მოწ. იაკობისა და გიორგისა. კათოლ. წმ. კონრადისა და ეპ. პეტრესი. სომეხ. წმ. პატრ. გრიგოლისა და ეპ. ნიკოლოოზისა. მაჰმად. მე-5 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30. მთვარე 6 დღისაა.

**27 დღე კვირა.** დიდ. მოწ. იაკობისა და გაბრიელისა. კათოლ. ეპ. იაკობისა და ვალერიანისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-6 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30. მთვარე 7 დღისაა.

**28 დღე ორშაბათი.** მოწ. სტეფანესი და სხ. კათოლ. ეპ. მანსვეტისა და სოსტენისა. სომეხ. წმ. ქალწ. ვასილისასი. მაჰმად. მე-7 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 8 დღისაა.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი თ | | დ | ი | ლ | ი თ |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | **სამტრედია**. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 02 | 1 | 17 | **რიონი** . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი**. | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ლ | ა მ | ო | თ ი |
| | ს ა ლ | ა მ | ო | თ ი | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია**. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

### ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ | ი | ს ი | თ | | ღ ა | მ | ი | თ |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ლ | ა მ | ო | თ ი | | დ ი | ლ | ი | თ |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

# განცხადებანი

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

Huste-Nicht
Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“
თაფლ-ბალახიანი-მალც-ექსტრაქტი და კონფეტები
ლ. გ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ხმარების რიგი და წესი

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დაჰნიშნა ბავშთათვის 3—4-ჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი, ხოლო უფროსებისათვის ჰხმარობენ ყოველ დღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თავითვე ხმარებით შეიძლება საშემდეგისოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის გაცივება.

ქიმიკურ ანალიზითა და სამკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება გ. აურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, გ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (17—4)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

მამული ვორონოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—14)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . . | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 50 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . | „ 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . | „ 25 |
| საიბიგონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . . | „ 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . | „ 5 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | „ 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | „ 35 |
| ვაზის ობი. . . . . . . . | „ 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ 30 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ 5 |

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




არყის ხის ბალზამი დ--რის ლენგილისა,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოხ საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება გ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, გ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 25-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე